



საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე



(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1, ტელ. 27-45-25)

N 2
06/01/2017

2-06-4-201701061614



განკარგულება N2

6 იანვარი 2017 წელი

სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან სესხის აღებისთვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ.გ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, მე-100 მუხლის მე-7 ნაწილისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“- ს 61-ე მუხლის თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს ნაგავშემკრები კონტეინერების შეძენის მიზნით, მიეცეს თანხმობა სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან არაუმეტეს 163854 (ასსამოცდასამიათას რვაასორმოცდათოთხმეტი) ლარის ოდენობის სესხის აღებისათვის.

მუხლი 2. ამ განკარგულების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან სესხის აღებისთვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 12 დეკემბრის N69 განკარგულება.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. №14).

მუხლი 4. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო